

URBAN HUB

ფასადი იწყება სწორი მასალით.

Urban Hub არის ფასადის მასალების პროფესიული პლატფორმა, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო მწარმოებლებსა და საქართველოს სამშენებლო და დიზაინის ინდუსტრიას.

10+
წლიანი გუნდური გამოცდილება

50+
საერთაშორისო ბრენდის პროდუქცია

270+
განხორციელებული პროექტი გუნდის მიერ

1 **სრული სისტემა**
მოპირკეთება, თბოიზოლაცია, მემბრანა, ქვესისტემა და სამაგრები — ერთი მომწოდებლისგან


2 **შერჩევა და ნიმუშები**
კონსულტაცია და მასალის ნიმუშები ვაკის შოურუმში

3 **ტექნიკური მხარდაჭერა**
დოკუმენტაცია და პროექტზე მორგებული შეთავაზება

4 **მონტაჟი**
დაგაკავშირებთ ვენტილირებად ფასადზე გამოცდილ სამონტაჟო გუნდებთან

SAMRAT HPL · MC BOND · ROCKWOOL · DÖRKEN DELTA · ALÜSAN · EJOT · SPSTAR

ფალიაშვილის 53, ვაკე, თბილისი +995 511 547 711 sales@urbanhub.com.ge



SAMRAT HPL

Samrat HPL

მაღალი წნევის ლამინატი ვენტილირებადი ფასადისთვის

ცელულოზის ბოჭკოები და თერმორეაქტიული ფისები იწნეხება მაღალ წნევასა (>7 მპა) და ტემპერატურაზე (~150°C). მიიღება მონოლითური, მკვრივი პანელი, რომელიც არ შეიწოვს ტენს, უძლებს დარტყმას და ინარჩუნებს ფერს მზეზე.

18+
წელი მხოლოდ ექსტერიერის HPL-ის წარმოებაში

9 მლნ+
მ² დამონტაჟებული პანელი მსოფლიოში

25+
ქვეყანა, სადაც Samrat-ის ფასადებია



1. **UV-PMMA ფენა** — იცავს ფერს მზისა და ამინდისგან
2. **დეკორატიული ქაღალდი** მელამინის ფისით — ფერი და ფაქტურა
3. **კრაფტ-ქაღალდის ფენები** ფენოლის ფისით — სიმტკიცე და ტენმედეგობა
4. **საბალანსო ფენა** — პანელის სტაბილურობა
5. **ქვედა UV-PMMA ფენა** — დაცვა ტენისგან

სისქე	**6 და 8 მმ — რეკომენდებული ფასადისთვის**
ზომა	**1220 × 3050 მმ · 1300 × 3050 მმ**
სიმკვრივე	**≥ 1.35 გ/სმ³**
ხანძარი	**B-s1, d0 (EN 13501-1)**
სტანდარტები	**EN 438 · CE · ISO 9001 / 14001**
ზედაპირი	**ხე, ქვა და მონოქრომული ფერები**


2039 SF **Brown Travertine**


2037 SF **Sandrift Oak**


2204 SF **Original Pine**



7032 SF **Lyon Nussbaum**


7041 SF **Santana Eiche**


D.No 7037 **Urban Grey**

D.No 9016 **Pure White**

D.No 9010 **Snow White**


D.No 9005 **Jet Black**


D.No 7016 **Anthracite Grey**

ხე და ქვა · 1220 × 3050 მმ · 8 მმ

მონოქრომული · 1300 × 3050 მმ · 6 მმ

MC BOND

MC Bond ACP


ალუმინის კომპოზიტური პანელები

მსუბუქი, სწორი და ზუსტი ზედაპირი თანამედროვე ფასადებისა და ინტერიერისთვის — მეტალიკიდან ხისა და ქვის ფაქტურებამდე.

რატომ ACP


- მდგრადია კლიმატის, ულტრაიისფერი სხივებისა და კოროზიის მიმართ
- მსუბუქია და ამცირებს შენობის დატვირთვას
- მუშავდება ჭრით, მოხრითა და ფრეზირებით — რთული ფორმებისა და კასეტებისთვის
- ფერებისა და ფაქტურების ფართო არჩევანი: მეტალიკი, ხე, ქვა, პრიალა





MC Bond-ის პროექტებიდან: დუბაის საერთაშორისო აეროპორტი, ICON SIAM (ბანგკოკი), IKEA (დუბაი).

პანელის შემადგენლობა




სისქე	3 ან 4 მმ
ფურცელი	1220 × 2440 მმ · 3200 × 1250 მმ; სხვა ზომა — მოთხოვნით
დაფარვა	PVDF — ექსტერიერი; PE — ინტერიერი
ხანძარი	B-s1, d0; A2 — მოთხოვნით

ძირითადი ფერები



MC2001	MC2002	MC2009	RAL 7016
White	**Matt Black**	**Matt Grey**	**Anthracite**

50+ ფერი და ფაქტურა კატალოგში: მეტალიკი, ხისა და ქვის იმიტაცია, სარკისებრი ანოდირებული და სპილენძის პანელები.






ფაქტურების ნიმუშები და ჰანჯოუს საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრი (G20) — ოქროსფერი სარკისებრი ACP.

ROCKWOOL

Rockwool ქვაბამბა

ვულკანური ქანებისგან დამზადებული თბო და ხმოიზოლაცია

ბაზალტის ფილები ზამთარში თბილად ინახავს შენობას, ზაფხულში — გრილად, ახშობს ხმაურს და ხანძრის დროს ბარიერად მუშაობს.



- **ხანძარსაწინააღმდეგო**
  არ იწვის და არ გამოყოფს კვამლს
- **ენერგოეფექტური**
  დაბალი თბოგამტარობა — ნაკლები ხარჯი გათბობასა და გაგრილებაზე
- **ხმოიზოლაცია**
  ახშობს ქუჩისა და შიდა ხმაურს
- **ტენმედეგი და „სუნთქვადი“**
  არ აგროვებს წყალს და ატარებს ორთქლს
- **გამძლე**
  არ ჯდება და არ იშლება შენობის მთელი სიცოცხლის განმავლობაში
- **ეკოლოგიური**
  ბუნებრივი ნედლეული, 97% გადამუშავებადი

A1	>1000°C	0.035	97%
უწვადი მასალა (Euroclass)	ტემპერატურას უძლებს	თბოგამტარობა λ, ვტ/(მ·K), 0.035-დან	გადამუშავებადი მასალა



Venti Batts Optima

VBO · 75 კგ/მ³ · 50 / 100 მმ

ვენტილირებადი ფასადის ძირითადი თბოიზოლაციის ფილა



Facade Batts Extra

FBE · 130 კგ/მ³ · 50 მმ

მაღალი სიმკვრივის ფილა გარე ფენისა და სველი ფასადისთვის




Acoustic Batts

AB · 47 კგ/მ³ · 75 მმ

აკუსტიკური ფილა ტიხრებისა და გადახურვებისთვის

ქვესისტემა, სამაგრები და მემბრანა

ფასადის ნაწილები, რომლებიც არ ჩანს, მაგრამ განსაზღვრავს მის სიმტკიცესა და ხანგრძლივობას. ყველა ელემენტი შერჩეულია ერთ სისტემად.



ALUSAN

ალუმინის ქვესისტემა

კრონშტეინები და მზიდი L/T პროფილები — HPL და ACP პანელების კარკასი

- შენადნობი EN AW-6063 T6 / 6060 — მდგრადი ქარისა და სეისმური დატვირთვის მიმართ
- პოლიამიდის თერმოხიდი ამცირებს სითბოს დანაკარგს
- ანოდირება და ფხვნილოვანი შეღებვა — დაცვა კოროზიისგან

ძირითადი პოზიციები
T პროფილი 50×50 და 50×110 მმ · L პროფილი 50×50 და 30×30 მმ · L კრონშტეინი 50×60-დან 80×140 მმ-მდე



DÖRKEN DELTA

ქარ-წყალდამცავი მემბრანა

იწყობა ქვაბამბაზე: აკავებს გარე წყალსა და ქარს, ატარებს შიდა ორთქლს

- მრავალშრიანი დიფუზიური მემბრანა — ხანგრძლივი ექსპლუატაცია
- იცავს თბოიზოლაციას დასველებისგან და ხელს უშლის კონდენსატს
- გერმანული ბრენდი, სისტემური გადაწყვეტა ფასადისა და სახურავისთვის

ძირითადი პოზიცია
DELTA-VENT S — შავი დიფუზიური მემბრანა ვენტილირებადი ფასადისთვის



EJOT

სამაგრი სისტემები

ანკერები და დიუბელები კრონშტეინებისა და თბოიზოლაციის დასამაგრებლად

- ETA სერტიფიცირება — მაღალი ამოგლეჯვის საწინააღმდეგო ძალა
- სპეციალური კონსტრუქცია ამცირებს თბურ ხიდებს
- გალვანიზებული და უჟანგავი ფოლადი — გამძლეობა აგრესიულ გარემოშიც

ძირითადი პოზიციები
ბეტონის ანკერი Ø10×102 და Ø12×118 მმ · დიუბელი D10×100 მმ, ბრტყელთავიანი და კონუსისთავიანი



SPSTAR

თბოიზოლაციის დიუბელები და PVC აქსესუარები


ქვაბამბის მიმაგრება, წვეთოვანები, კუთხეები და სამონტაჟო დეტალები

- UV-მდგრადი და დარტყმაგამძლე პლასტიკი
- არ იჟანგება და ინარჩუნებს ფორმას ტენიან გარემოში
- მსუბუქი და სწრაფი მონტაჟი

ძირითადი პოზიციები
თბოიზოლაციის დიუბელი 90×8×115 მმ (50 მმ ფილისთვის) და 90×8×155 მმ (100 მმ ფილისთვის)

ვენტილირებადი ფასადი
ფენა-ფენა


სისტემის წყობა მზიდი კედლიდან საბოლოო მოპირკეთებამდე: რომელი პროდუქტი სად მუშაობს და რით მაგრდება.



სქემა პირობითია, მასშტაბის დაცვის გარეშე

ძირითადი კედელი
ბეტონის ან აგურის მზიდი კონსტრუქცია

1. **Alüsan — ალუმინის კრონშტეინები**
   ფიქსირდება EJOT-ის ფასადის ანკერებით
2. **Rockwool — ქვაბამბის თბოიზოლაცია**
   ფიქსირდება ტელესკოპური დიუბელებით
3. **Dörken Delta — ქარ-წყალდამცავი მემბრანა**
   აკავებს გარე წყალს და ატარებს ორთქლს
4. **SP Starplast — PVC წვეთოვანები და კუთხეები**
   იცავს ჰორიზონტალურ გადაბმებს წყლის ჩადინებისგან
5. **Alüsan — მზიდი L/T პროფილები**
   ქმნის სავენტილაციო საჰაერო ღრეჩოს
6. **Samrat (HPL) ან MC Bond (ACP) პანელები**
   საბოლოო მოპირკეთება მზიდ L/T პროფილებზე


ალუმინის ქვესისტემა და პანელის მონტაჟი


პანელი მოქლონებით T-პროფილზე


ხის ტექსტურის პანელების მონტაჟი

შევარჩიოთ სისტემა თქვენი ფასადისთვის

მოგვწერეთ ობიექტის შესახებ — დაგეხმარებით მოპირკეთების, თბოიზოლაციის, ქვესისტემისა და სამაგრების შერჩევაში და მოვამზადებთ პროექტზე მორგებულ შეთავაზებას.

ტელეფონი	**+995 511 547 711**
ელფოსტა	**sales@urbanhub.com.ge**
შოურუმი	**ფალიაშვილის 53, ვაკე**
საიტი	**urbanhub.com.ge**